საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერია
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL

N 15737-02
19/12/2018

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ***ლევან ონიანს***

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 14 და 18 დეკემბერს შევიდა ცვლილებები გზებისა და ფასადების რეაბილიტაციის ხელშეკრულებებში და ვადის გაგრძელების გამო გამრავალწლიანდა, რამაც გამოიწვია 2019 წლის ბიუჯეტში დამატებით 800.0 ათასი ლარზე მეტი თანხის მობილიზება 2018 წლის ბიუჯეტის ნაშთიდან, ასევე 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის სოციალური პროგრამების ნაწილში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ აუტიზმის პროგრამის ჩანაწერში 1000 ლარიანი დაფინანსების ნაცვლად უნდა ყოფილიყო 2000 ლარი. გარდა ამისა, ბიუჯეტის გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაზუსტდა პრიორიტეტების შინაარსობრივი მხარე, ინფორმაციულ დანართად დაემატა იურიდიული პირების ბიუჯეტები და პროგრამული დანართი.

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით ჩვენი მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N15207-02 და 14 დეკემბრის N15575-02 წერილებით შემოტანილ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს წარმოგიდგენთ დაზუსტებული ფორმით და გთხოვთ განხილვისას იხელმძღვანელოთ წინამდებარე პროექტით და თანმდევი მასალებით.

პატივისცემით,

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 00 97; ფაქსი: (+995 341) 22 47 74
E-mail: municipality@rustavi.gov.ge Web: www.rustavi.gov.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 341) 22 00 97; Fax: (+995 341) 22 47 74